ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N1

დაბა ქედა 14 ივლისი, 2023 წელი.

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ დავითაძე; შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე;
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

14.07.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე მიესალმა იქ შეკრებილ მოსახლეობას და გააცნო მიზეზი რისთვისაც დარჩა საჭირო გასვლითი სხდომა, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათი ჩართულობა აუცილებელია საერთო საქმეების განხილვაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის „წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი"-ს (საკადასტრო კოდი: 21.06.31.217) სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საკრებულოს წევრის ინიცირება - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის „წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი"-ს (საკადასტრო კოდი: 21.06.31.217) სახელის მინიჭების შესახებ (განცხადების ნომერი N:95-95231862; განცხადების თარიღი 05.07.2023.წელი), რომელიც შესასწავლად გადაეცა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

მომხსენებელმა ისაუბრა მამა სევერიანეს მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა, რომ დიაკონი სევერიანე (ერისკაცობასი ხასან) ბერიძე, დაიბადა 1920 წლის 15 ივლისს აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში, ყედირ ბერიძის მუსლიმანურ ოჯახში. სევერიანე ბერიძის ცხოვრებაში განსაკუთრებული სულიერი გარდატეხა 1960 წლიდან დაიწყო. დიაკონმა სევერიანემ 1960 წლიდან 1996 წლამდე, 35 წლის განმავლობაში მოილოცა საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, ქადაგებდა ქრისტეს და ეს იყო მისი ცხოვრების წესი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარაში ათასობით ადამიანის გაქრისტიანებაში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სევერიანე არა მხოლოდ აჭარაში, არამედ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა დაუღალავად ქადაგებდა და ყველას რწმენისკენ მოუწოდებდა. 1995 წლის 26 ივლისს, მთავარანგელოზთა კრების დღეს, დაბა ჩაქვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი ეკლესია, რომელსაც მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელი ეწოდა. სევერიანე ბერიძე დიაკვნად სწორედ ამ დროს, 1995 წელს მეუფე იუბის ლოცვა-კურთხევით დაადგინეს. დიაკონი სევერიანე პირველი აჭარელი მართლმადიდებელი სასულიერო პირი იყო 300-წლიანი თურქთა ბატონობის შემდეგ.

სევერიანე ბერიძე 1996 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა. მის დაკრძალვას უამრავი ადამიანი, მათ შორის სასულიერო პირები დაესწრო. სევერიანე ბერიძე აჭარაში, ჩაქვის რაიონის სოფელ ბუკნარში დაკრძალეს. წმიდა სინოდმა 2018 წლის 21 ივნისს დიაკონი სევერიანე (ერისკაცობაში ხასან ბერიძე) წმიდანად შერაცხა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძემ ისაუბრა შემოსული ინიცირების შესახებ, მისი თქმით ადგილობრივ მოსახლეობას წლების წინ, პეტიცია ქონდა წარმოდგენილი ზვარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის შესახებ, მაგრამ რთული გეოგრაფიული რელიეფისა და უსაფრთხოების გამო ცენტრალური გზის მიმდებარედ სკვერის მოწყობა შეუძლებელი გახდა. მერიის მიერ მოქალაქეთა პეტიციით მოთხოვნილი საკითხის

დაკმაყოფილება მოგვიანებით, ზვარის ადმინსტრაციული ერთეულის შენობის მიმდებარედ სკვერის მოწყობით განხორციელდა. რომელზეც მოსახლეობამ ერთობლივი განცხადებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერს დიაკონი სევერიანეს სახელის მინიჭების მოთხოვნით.

შემოსულმა ინიცირებამ გაიარა საქმისწარმოებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-თ დადგენილი წესები, რომლის საფუძველზე დაიგეგმა გასვლითი სხდომა. ამის შემდეგ საკითხი გაივლის ყველა სამართლებრივ პროცედურებს და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საკრებულოს მიერ.

კომისიის წევრებმა: ლევან ბერიძემ, არჩილ გორგილაძემ, მარინა ბარამიძემ და მერაბ ნაკაშიძემ ერთხმად მიესალმნენ აღნიშნულ საკითხს, მათი განმარტებით მოსახლეობის ჩართულობით კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, რადგან მათი შთამომავლობა გაეცნობა ამ დიდებული ადამიანის ღვაწლს და მამა სევერიანეს მოღვაწეობა იქნება სამარადჟამოდ უკვდავი.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა მოსახლეობას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სოფლის მკვიდრმა ამირან ჯაბნიძემ ისაუბრა ზვარეს ეკლესიის მშენებლობაში მოსახლეობის ჩართულობაზე, თუ როგორ გაიარა თითოეული აგური მათ ხელში და შესაბამისად აღნიშნული საკითხს სიხარულით შეხვდნენ.

მოქალაქე ფიქრია ქადიძემ განაცხადა, რომ ყველა სასიკეთო და კარგი საქმის მომხრეა და სიხარულით მიესალმება სკვერის სახელდებას.

კომისიის წევრებს სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: 21.06.31.217) ,,წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი"-ს სახელის მინიჭება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 14:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პროტოკოლი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში